# პროექტის აღწერილობა

1. **პროექტის სახელწოდება-** „საერთაშორისო ორგანიზაციების ქმედებათა ეფექტიანობა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციისთვის“
2. **შესავალი**

   **მიზანი**

   მოსწავლეებში ცნობიერების ამაღლება საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციაში საერთაშორისო ორგანიზაციების როლის შესახებ.

   **ამოცანები**

   - მოსწავლეთათვის იმ საერთაშორისო პრობლემების გაცნობა, რომლის წინაშეც საქართველო დგას.
   - მოსწავლეთათვის აღნიშნული პრობლემების გადაჭრის გზების მითითება.
   - მოსწავლეთათვის საქართველოსთვის მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მათი ქმედუნარიანობის გაცნობა.
   - მოსწავლეთათვის საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის აუცილებლობისა და მოსალოდნელი შედეგების გაცნობა.
   - მოსწავლეთათვის ევროკავშირის ქვეყნებისა და საქართველოს მიერ საერთო განხორციელებული პროექტების გაცნობა.

   **მოსალოდნელი შედეგები**

   - პროექტის განხორციელების შემდეგ მოსწავლეებმა უკეთ გააცნობიერეს საერთაშორისო დონის პრობლემები, იფიქრეს გადაჭრის გზებზე და შეძლებისდაგვარად შეიტანეს წვლილი მათ მოგვარებაში.
   - მოსწავლეები გაეცნნენ საერთაშორისო ორგანიზაციებს და გაიაზრეს რა როლს თამაშობენ ორგანიზაციები თითოეული ქვეყნის კეთილდღეობაში.
   - მოსწავლეებმა უკეთ გაიაზრეს და საფუძვლიანად შეისწავლეს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის მნიშვნელობა.
   - მოსწავლეებმა გაავლეს პარალელები საქართველოსა და ევროპის ქვეყნებს შორის გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით.
   - მოსწავლეებმა შეიძინეს ფართო ინფორმაცია ევროკავშირში ინტეგრაციისთვის საჭირო განსახორციელებელ ქმედებებზე, რის შემდეგაც ჩაატარეს გამოკითხვა მოსახლეობაში ცნობიერების დონის დასადგენად და სოციალური მედიის საშუალებით წვლილი შეიტანეს ინფორმაციის პოპულარიზაციაში.

3. **პროექტის მნიშვნელობა**

   რადგან საქართველოსთის ძალიან აქტუალური და მტკივნეული თემაა ევროკავშირში გაწევრიანება და ამავდროულად არაა დამაკმაყოფილებელი ცნობიერების დონე საერთაშორისო ორგანიზაციების როლის შესახებ, ჩვენ გადავწყვიტეთ წარმოგვედგინა პროექტი „საერთაშორისო ორგანიზაციების ქმედებათა ეფექტიანობა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციისთვის“. ამ პროექტში ადგილი არ ჰქონდა მიკერძოებას და საქართველოს პრობლემების დაფარვას, რადგან მოსწავლეებს რეალურად გაეცნობიერებინათ არსებული ვითარება. პრობლემების უკეთ გასაცნობიერებლად, ჩვენ გავავლეთ პარალელი ევროკავშირის წევრი ქვეყნების ვითარებასთან, რამაც ბევრად მარტივი გახადა არამხოლოდ საქართველოს სირთულეების დანახვა, არამედ მისი უამრავი დადებითი მხარეც. მოსწავლეებმა არამხოლოდ შეიძინეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია, არამედ გაუჩნდათ სურვილი შეეტანათ მცირედი წვლილი

პრობლემების აღმოფხვრაში. გამოთქვეს ინიციატივა მოსახლეობაში ჩაეტარებინათ გამოკითხვა თანასწორობის, ევროკავშირში ინტეგრაციისა და ვიზა-ლიბერალიზაციის შესახებ. პროექტის დასრულების შემდეგ კი მათ მიერ შეგროვებულ მასალას თავი მოუყარეს და სოციალური მედიის საშუალებით ის ყველასთვის ხელმისაწვდომი გახადეს.

4. **პროექტის აღწერა და განხორციელება**
   მოცემული პროექტი დავგეგმეთ 2016 წლის სექტემბერში და ის არის გრძელვადიანი , რადგან საკმაოდ ბევრ და მრავალფეროვან აქტივობებს მოიცავს. პროექტში მონაწილეობენ VIII-IX-X კლასის მოსწავლეები.

**I ეტაპი**

მოვაწყვეთ კვირეული VIII, IX, და X კლასებში- „საქართველო და საერთაშორისო ორგანიზაციები“. ბავშვები გაეცნნენ საერთაშორისო ორგანიზაციებს, ყურადღება გავამახვილეთ იმ ორგანიზაციებზე, რომლებიც საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია, კერძოდ-საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, ევროსაბჭო, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, იუნესკო, გრინპისი. გაერკვნენ რა წვლილი შეიტანა თითოეულმა ორგანიზაციამ საქართველოს კეთილდღეობაში.*(იხ.დან.1,2,3,4,6,7,8,9)*
https://en.calameo.com/read/005114596e91aff3295b8

**საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი-** ბავშვები გაეცნნენ საზაფხულო და ზამთრის საოლიმპიადო სპორტის სახეობებს. ძირითადად ვისაუბრეთ 2015 წელს საქართველოში, კერძოდ თბილისში გამართულ ევროპის ზაფხულის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის შესახებ. ბავშვებისთვის მეტად სასიამოვნო აღმოჩნდა ამ თემებზე საუბარი, რადგან ისინი რამდენიმე პედაგოგთან ერთად თავად ესწრებოდნენ თამაშებს და აქტიურად იყვნენ ჩართულნი თანატოლი მეგობრებისა თუ უცნობი ახალგაზრდების მხარდაჭერაში. მათ მიეცათ საშუალება კარგად დაეთვალიერებინათ ოლიმპიადის მზადების პროცესში აშენებული 7 ახალი არენა, გარემონტებული სპორტული ინფრასტრუქტურა და ოლიმპიური სოფელი.
დანართი- საქართველო და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი *(იხ.დან.1, დან.2)*
https://en.calameo.com/read/0051145966cc1743774c6

**დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა-** ბავშვები გაეცნნენ ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს. ვინაიდან და რადგანაც არსებობს არაერთი მოსაზრება ამ ორგანიზაციის მიზნების შესახებ, შევეცადე ბავშვებისთვის სწორად მიმეწოდებინა ინფორმაცია. გაცნობის შემდეგ კი, ისინი თავად შეჯერდნენ თუ რა გახდა მიზეზი იმისა, რომ საქართველომ „დსთ“ დატოვა. ბავშვებმა ტკივილით გაიხსენეს 2008 წლის მძიმე მოვლენები.

**დანართი-** საქართველო და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა *( იხ.დან.7)*

https://en.calameo.com/read/00511459650de0ca8e14d

**შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა-** მოსწავლეები გაეცნნენ ორგანიზაციის მთავარ მიზნებს- რეგიონის ეკონომიკური განვითარება და სტაბილურობა, წევრი ქვეყნების ხალხის კეთილდღეობა და შავი ზღვის სივრცეში დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობა. განვიხილეთ როგორც შავი ზღვის უდიდესი დადებითი ფუნქცია, ასევე მისგან შესაძლო საფრთხეები. ბავშვებისთვის ნათელი გახდა, რომ ორგანიზაცია ამტკიცებს ქმედუნარიანობას და პრობლემების გადაჭრისთვის შესაფერის მიდგომებსა და დროს არჩევს.

**დანართი-** საქართველო და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა

*(იხ.დან.3)* https://en.calameo.com/read/005114596b1f317a63402

**იუნესკო-** მოსწავლეები გაეცნნენ რა ფუნქციებს ასრულებს ორგანიზაცია და განიხილეს იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლები საქართველოში (სვეტიცხოველი, ბაგრატის ტაძარი და ზემო სვანეთი). მოგეხსენებათ, 2007 წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ იუნესკოს წევრობის კანდიდატად (საცდელი სია) წარუდგინა იუნესკოს, ამიტომ ჩვენ ამ ისტორიულ და ბუნებრივ ძეგლებზეც გავამახვილეთ ყურადღება.*( იხ.დან.6, 6.1)*
https://en.calameo.com/read/0051145968da56a3369bd

**დანართი-** საქართველო და იუნესკო

**გრინპისი-** გადატვირთულ 21-ე საუკუნეში ხშირად უკანა პლანზე რჩება მწვანე მშვიდობა, ამიტომ ჩვენ მნიშვნელოვნად ჩავთვალეთ მოსწავლეები გაცნობოდნენ გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემებს. რასაკვირველის, როდესაც შეიტყვეს რომ გრინპისი დღესდღეისობით არის ძლიერი საერთაშორისო ძალა, რომელიც ეყრდნობა 2,5 მილიონი ადამიანის მხარდაჭერას და პრინციპულად არ იღებს ფინანსურ დახმარებას სახელმწიფოებისგან, მათ გაუჩნდათ სურვილი წვლილი შეეტანათ საქართველოში მწვანე მშვიდობის დამყარებაში. მოვინახულეთ არაერთი ეროვნული პარკი და დავასუფთავეთ მათ ახლოს მდებარე ტერიტორიები.

ბავშვებმა თავად შექმნეს ფლაერები გლობალური პრობლემების და მათგან პრევენციის გზების შესახებ და ექსკურსიაზე დაურიგეს შემხვედრ ხალხს.

დანართი- საქართველო და გრინპისი *(იხ.დან.4)*
https://en.calameo.com/read/005114596eb3d7292833d

**II ეტაპი**

ყურადღება გავამახვილეთ ევროკავშირზე და მის როლზე საქართველოსთვის. განვიხილეთ ევროკავშირის მიერ საქართველოს კეთილდღეობისთვის შემუშავებული გეგმები და დაფინანსებული პროექტები. ბავშვებმა უკეთ გაიაზრეს რამდენად აუცილებელია საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაცია.

- ✓ თან ვურთავთ დოკუმენტს, საიდანაც დიდი ინფორმაცია მივიღეთ ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებზე https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/civic_society_eu_2014.pdf

III ეტაპი

**ევროსაბჭო**- ბავშვებმა ისაუბრეს ისეთ საკითხებზე, რომლებზეც ორგანიზაცია საქართველოსთან მუშაობს (სოციალური უფლებების დაცვა, ბრძოლა რასიზმთან, უმცირესობების უფლებების დაცვა, კორუფციასთან ბრძოლა, მართლმსაჯულება, წამების პრევენცია, დემოკრატიის განვითარება, ადამიანებით ვაჭრობასთან ბრძოლა, კაპიტალის გათეთრებასთან ბრძოლა). წარმოდგენა შეექმნათ ახალ სამოქმედო გეგმაზე. დავესწარით გიგი გიგიაძის საჯარო ლექციას ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრში. ლექცია იყო ციკლიდან „მე-ევროპელი“ და შეეხო უვიზო მიმოსვლის რეჟიმს. მოსწავლეებს მიეცათ საშუალება მიეღოთ კითხვებზე პასუხები. რის შემდეგაც შეადგინეს კითხვარი და თბილისის სხვადასხვა ქუჩებში ჩაატარეს გამოკითხვა და მართებულ ინფორმაციას გაუწიეს პოპულარიზაცია.

**და ნ ა რთი** - საქართველო და ევროსაბჭო *(იხ.დან.9,10,11)*

ევროსაბჭოს სამოქმედო გეგმა

https://en.calameo.com/read/00511459619dca8a8d676 ( ევროსაბჭო)

IV ეტაპი

ჩატარდა კვირეული და ინტეგრირებული გაკვეთილები „გაეროს“ შესახებ- აქტივობა განხორციელდა 2016 წლის სექტემბერში და მონაწილეობას იღებდნენ VIII, XI და X კლასის მოსწავლეები. აქტივობის მიზანი იყო მოსწავლეებს შორის ინფორმაციის გაცვლა, წარმოადგინეს რეფერატები, შემდეგ კი დაიყვნენ ჯგუფებად და იმსჯელეს კონკრეტულ პრობლემებსა თუ მოგვარების გზებზე.

დანართი - გაერო და საქართველო . *(იხ.დან. 14)*

V ეტაპი

26 სექტემბერს ევროპის ენების დღეს მივუძღვენით ინტეგრირებული გაკვეთილი ინგლისურ ენაზე, რომელიც ჩატარდა IX კლასებში.(იხ.დან.12)

VI ეტაპი

მრგვალ ბაღში მოვაწყვეთ შეხვედრა გაეროს ელჩ ნილს სკოტთან. ბავშვები უშუალოდ გაესაუბრნენ მას, დაუსვეს კითხვები და მიიღეს არასაჯარო ინფორმაცია.

- ✓ აქვე მოვაწყვეთ გამოკითხვა ბავშვის უფლებების შესახებ, დავადგინეთ ცნობიერების დონე და მოსახლეობის აზრი გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით. (იხ.დან.13,14,19)
- ✓ https://en.calameo.com/read/00511459683929074 9d32

- **გაეროს UNICEF-ის ბავშვთა დაცვის ფონდის ოფისი-** ,,Aia-Gess''-ის VIII კლასის მოსწავლეები მიწვეულნი იყვნენ გაეროს UNICEF-ის ბავშვთა დაცვის ფონდის ოფისში, სადაც გაეროს წარმომადგენელი გაესაუბრა მათ საქართველოში UNICEF-ის საქმიანობის შესახებ და წარიმართა დისკუსია. შეხვედრის დასასრულს მოსწავლეებს საჩუქრად გადაეცათ წიგნი ,,ბავშვის უფლებათა კონვენცია''.
( იხ.დან.15,16)
- **მედიათეკის დარბაზი-** "აია-ჯესს"-ის VIII კლასის მოსწავლეებმა მედიათეკის დარბაზში განახორციელეს პროექტი "ბავშვები-ბავშვებისთის". "ჩემი სახლის" აღსაზრდელებს გავესაუბრეთ გაეროს ბავშვთა ფონდის შესახებ, გავაცანით ჩვენი წამოწყებული პროექტი, ვაჩვენეთ ჩვენივე ნათარგმნი მულტფილმი ბავშვთა უფლებების კონვენციის შესახებ. საჩუქრად გადავეცით წიგნები. მოვაწყვეთ გამოფენა მედიათეკის ამფითეატრში ბავშვებს მიეცათ საშუალება დაეხატათ თავიანთი სურვილები და დაეწერათ სამახსოვრო წერილები.დღის ბოლოს კი მეგობრობის ნიშნად ფრანები გავუშვით. (იხ.დან.17)

**VII ეტაპი**

რადგან თანასწორობის საკითხი მწვავედ დგას დღევანდელ რეალობაში, გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა გაკვეთილი „გენდერული თანასწორობა“. ბავშვები გაეცნნენ ევროპის ქვეყნებში ვითარებას ამ საკითხთან დაკავშირებით და გაავლეს პარალელები საქართველოსთან. მათ ისაუბრეს ოჯახში ძალადობის, ქალთა დისკრიმინაციისა და გენდერული უთანასწორობის შესახებ. გაკვეთილი საინტერესო აღმოჩნდა და მოსწავლეებიც აღფთოვანებულები დარჩნენ. გაკვეთილს სხვა პედაგოგებიც დაესწრნენ და ისინიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი. მოსწავლეები და პედაგოგები ერთხმად შეთანხმდნენ, რომ ძალიან მნიშვნელოვნია ასეთ თემებზე ღია გაკვეთილების ჩატარება სკოლაში. მოსწავლეებმა კარგად უნდა გააცნობიერონ, თუ რას ნიშნავს გენდერული თანასწორობა, რა არის გენდერი, რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის და როგორც მოქალაქეებს რა ვალდებულებები აკისრიათ. ინფორმაციის გაცვლისა და ერთ აზრზე შეჩერების შემდეგ,ჩავატარეთ გამოკითხვა საზოგადოებაში ცნობიერების დონის გასარკვევად. (იხ.დან.20,21)

**VIII ეტაპი**

დაწვრილებით განვიხილეთ ვიზა-ლიბერალიზაცია. ვისაუბრეთ ამ მოვლენის მნიშვნელობაზე საქართველოსთვის, შევისწავლეთ რა ვადით შეუძლიათ მოქალაქეებს შენგენის ზონაში მიმოსვლა და რა არის საჭირო უვიზო მიმოსვლისთვის. ჩავატარეთ გამოკითხვაც ამ საკითხთან დაკავშირებით.(იხ.დან.22,22.1)

დანართი- ოფიციალური დოკუმენტი საქართველოში უვიზო მიმოსვლის შესახებ

**IX ეტაპი**

მე-10 კლასის მოსწავლემ, ლაშა დუღაშვილმა, დახატა საკუთარი თვალით დანახული ევროპა და საქართველო ერთად, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა მთელ სკოლაში და წარადგინა კონკურსზე.(იხ.დან.25)

იხილეთ ნახატი

**X ეტაპი**

მოსწავლეებმა შექმნეს ბუკლეტები- „საქართველო და გაერო“ და „საქართელო ევროკავშირის გზაზე“ და პროექტის განმავლობაში დავურიგეთ მოსწავლეებს მასწავლეებსა და კოლეგებს.

“საქართველო და გაერო“ ( იხ.დან.19)

„საქართველო ევროკავშირის გზაზე“(იხ.დან.23)

**შედეგების ანალიზი**

პროექტში მონაწილეობას იღებდა VIII-IX-X კლასის 80-მდე მოსწავლე და გეოგრაფიის პედაგოგი-მარინა ხარიტონაშვილი. პროექტზე მუშაობის დროს შევიძინეთ როგორც საჯარო, ასევე ნაკლებად პოპულარული ინფორმაცია. ვითანამშრომლეთ არაერთ კოლეგასთან, რომლებმაც მოგვაწოდეს დამატებითი ინფორმაცია, რამაც ბევრად საინტერესო გახადა პროექტის მიმდინარეობა. ჩვენს მიერ შეგროვებული მასალა გავხადეთ ხელმისაწვდომი და ავტვირთეთ ის, როგორც Calameo-ის საიტზე, ასევე ჩემს პროფესიულ ბლოგზე http://intelmarikharitonashvili.blogspot.com . მოსწავლეებმა პროექტის მსვლელობის დროს შეიძინეს შემდეგი გამოცდილებები: ჯგუფური მუშაობა, ინფორმაციის მოძიება და დახარისხება, პრეზენტაციის წარდგენა, ნამუშევრის ონლაინ სივრცეში განთავსება, მნიშვნელოვანი ეკოლოგიური თუ სახელმწიფოებრივი პრობლემების დიპლომატიური გზებითა და ორგანიზაციებთან თანამშრომლობით გადაჭრის გზები, გაითავისეს ევროკავშირში ინტეგრაციის აუცილებლობა და ის გზა, რომლის გავლაც საჭიროა.

დანართი- Calameo-ს საიტზე ატვირთული მასალის ლინკები (იხ.დან.26)

## ბიბლიოგრაფია/ინტერნეტი/ტექნიკა


1) საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისია http://unesco.ge
2) ევროპის საბჭოს ვებსაიტი http://www.coe.int/
3) გაეროს ვებსაიტი http://www.ge.undp.org/
4) საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვებსაიტი http://geonoc.org.ge/
5) საქართველოდან ევროკავშირში მოგზაურობა https://eeas.europa.eu/delegations/georgia/7588/sakartvelodan-evrokavshirshi-mogzauroba_ka
6) ტექნიკა: ფოტო აპარატი, ვიდეო კამერა, პლანშეტი, სმარტფონი.